მედიის განვითარების ფონდის ყოველკვირეული გამოცემა

მედიის განვითარების ფონდი

# ბიულეტენი №5

06. 05 –12.05.2013

## მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

6 -12 მაისის პერიოდში მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- ფიზიკური ძალადობის ფაქტის შეფასებისას, რომელიც მმართველი პარტიის პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იყო მიმართული, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან სიძულვილის გაღვივებას და პოლიტიკურ ნიადაგზე ძალადობის ირიბ წახალისებას ჰქონდა ადგილი.
- რელიგიური თემატიკა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია სხვადასხვა ასპექტებით იყო წარმოჩენილი: რელიგიურ უმცირესობათა ლოცვის უფლებაზე უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური ქართველების უფლებებია (ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება); მეჩეთის მშენებლობის მიუღებლობის თემა უმრავლესობის ნების საფუძველზე უნდა გადაწყდეს (მედია-კავშირი “ობიექტივი”); რელიგიური ექსტრემიზმის თემა არ არსებობს და მხოლოდ გრანტების მიღების მიზნით არის პროვოცირებული (მამუკა გიორგაძე, სახალხო პარტია).

გაგრძლება გვ. 10



მონიტორინგი

## რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

<u>მაესტრო, პოლიტმეტრი, 10 მაისი</u>

ქართული ოცნების დეპუტატის, ზაზა პაპუაშვილის პოლიტიკური ოპონირების კონტექსტში გაკეთებული განცხადებები პრეზიდენტ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მიმართ, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა კონფესიების დისკრიმინაციას ახდენს. ლოცვის უფლებაზე საუბრისას (იგულისხმება რამდენიმე დასახლებაში - სამთაწყარო, წინწყარო, ნიგვზიანი საქართველოს მოქალაქე მუსლიმებისთვის ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევები), რესპონდენტის მხრიდან ადამიანთა რელიგიური ნიშნით სეგრეგაციას აქვს ადგილი: “შენსას მიხედე” - იგულისხმებიან მართლმადიდებლები, “ესენი თავის თავს მიხედავენ” - იგულისხმებიან მუსლიმები. ჟურნალისტი უკრიტიკოდ ტოვებს რესპონდენტის ამ დისკრიმინაციულ განცხადებას და არ ებადება შეკითხვა, უმცირესობებისა და უმრავლესობის უფლებრივ თანასწორობაზე, ისევე როგორც სახელმწიფოს, მათ შორის მმართველი გუნდის ვალდებულებაზე, უზრუნველყოს რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება.

გაგრძლება გვ. 3

ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია **MDF** და ის შესაძლოა, არ ასახავდეს **USAID**-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

### მთავარი თემები


| | |
|---|---|
| რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია | 1 |
| სიძულვილის ირიბი წახალისება | 2 |
| ეთნიკური ნიშნით დისკირმინაცია | 4 |
| გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია | 5 |
| ინტიმური ცხოვრების ამსახველი... | 6 |
| სექსუალური უმცირესობები | 7 |


საქართველოს გაეროს ასოციაცია
USAID
ამერიკელი ხალხისგან
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## სიძულვილის ირიბი წახალისება

### ინციდენტი რესტორან "ლა ტრუფში"

12 მაისს, თბილისში რესტორან "ლა ტრუფში" რამდენიმე მოქალაქესა და ნაციონალური მოძრაობის წევრებს შორის მომხდარი ინციდენტის დროს ოპოზიციური პარტიის ორმა დეპუტატმა და ყოფილმა გუბერნატორმა ფიზიკური დაზიანებები მიიღეს. მომხდარ ინციდენტზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის შეფასება სიძულვილის გაღვივებას და საკითხის სამართლებრივი გარკვევის ნაცვლად, ბრბოს მართლმსაჯულების ირიბ წახალისებას წარმოადგენს. აღნიშნული კომენტარი მედია საშუალებების უმეტესობამ გააშუქა.

> ეკა ბესელია: *"ძალადობას და აგრესიას არასდროს არ წავახალისებთ და არც მხარს არ დავუჭერთ. ბუნებრივია, ხელისუფლებას გუშინ კლუბ-რესტორან "ლა ტრუფეში" მომხდარ ინციდენტზე რეაგირება ექნება და გამოძიებული იქნება რა მოხდა, მაგრამ აქვე მინდა შევახსენო „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილ თანამდებობის პირებს, ადამიანებს, რომლებსაც ექცეოდნენ სასტიკად და არაადამიანურად, ხომ უნდა ეფიქრათ, რომ შეიძლება მაშინ, როცა თანამდებობა აღარ გექნება, ქუჩაში შეხვდე იმ ადამიანებს, რომლებიც მათივე ქმედების მსხვერპლია და მათი მხრიდან რომ იქნება გარკვეული აგრესია და პროტესტი გამოხატული, ეს ჩვენი ხელისუფლების ბრალია?!"*

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის აღნიშნული შეფასების გამო, შეშფოთება საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ (GDI) გამოთქვა. ორგანიზაცის მიერ 11 მაისს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია:

> GDI: *"ასევე ვეხმიანებით საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებას, რომელმაც ერთის მხრივ დაგმო, თუმცა ამავდროულად გამართლება და ახსნა მოუძებნა მომხდარ ფაქტს. მიგვაჩნია, რომ მსგავსი განცხადებები საფრთხის შემცველია და შესაძლოა, ქვეყანაში პოლიტიკურ ნიადაგზე ფიზიკური ძალადობის ახალი გამოვლინებები წაახალისოს."*
> http://gdi.ge/?p=255

ბიულეტენი №5

### მაესტრო, 12 მაისი

მართალია, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მედიის განვითარების ფონდი მხოლოდ დღის მთავარი გამოშვებების მონიტორინგს ახორციელებს, მაგრამ ორგანიზაციამ რეაგირება მოახდინა 12 მაისს ტელეკომპანია "მაესტროს" 15 საათიან გამოშვებაში რესტორან "ლა ტრუფში" მომხდარი ინციდენტის გაშუქებისას, ტელეკომპანიის მიერ სოციალურ ქსელებში გავრცელებული საეჭვო მასალის, როგორც ინციდენტის ამსახველი რეალური ფაქტის გამოყენებაზე. სახელდობრ, აღნიშნულ კადრებში ერთ-ერთ რესტორანში (სავარაუდოდ რუსეთში) მამაკაცის მიერ ქალების ცემის სცენა, როგორც 11 მაისს, თბილისში რესტორან "ლა ტრუფში" ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებსა და რამოდენიმე მოქალაქეს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების ამსახველი ვიდეო მასალა იყო წარმოდგენილი.

MDF მიესალმა იმ ფაქტს, რომ ტელეკომპანია "მაესტრომ" მოგვიანებით ამ უზუსტობის გამო მაყურებელს ბოდიში მოუხადა და მოუწოდა ყველა მედია საშუალებას, მომავალში მეტი სიფრთხილით მოკიდებოდნენ მსგავსი საეჭვო კადრების, როგორც სრულიად სხვა ინციდენტთან დაკავშირებული რეალური ფაქტის ტირაჟირებას. *"სოციალური ქსელით გავრცელებული მასალა მედია საშუალებებისგან დამატებით გადამოწმებას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა იმის გარკვევას, რომ გავრცელებული მასალა უცხო ქვეყანაში მომხდარ ვითარებას ასახავდა და არაფერი ჰქონდა საერთო თბილისში განვითარებულ მოვლენებთან,"* _ აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც მედიას მაუწყებელეთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის იმ დებულებებს შეახსენებს, რაც მათ ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფას ავალდებულებს.
http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=15&lang=1&id=121

# რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ 1.

**ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება:** *"... რომელი ქვეყანა შენ გაინტერესებს? გამოდიხარ და სხვა კონფესიების უფლებებს ვითომ იცავ. შენსას აგინებ პირში, შენსას ლანძღავ, შენსას ანერწყვებ და ხევ და ვითომ სხვისი ლოცვა გაღელვებს. როგორ შეეშალა იმათ ლოცვაში ხელი და არიქა შეუწყოთ ხელი, თორე ულოცველად არ დარჩნენ ისინი? შენსას მიხედე, ესენი თავის თავს მიხედავენ".*
http://www.myvideo.ge/?video_id=2035323

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი**

ღამის სტუდიის წამყვანი ნინო რატიშვილი ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თემას კვლავ პატრიოტთა ალიანსის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების კონტექსტში განიხილავს. ამასთანავე მეჩეთის მშენებლობის საკითხს ჟურნალისტი ახალი ხელისუფლების ტესტად აფასებს. ცალსახად იკვეთება მედია საშუალების და ჟურნალისტის სარედაქციო პოზიცია, რომ რელიგიური უმცირესობის უფლებრივი საკითხი უმრავლესობის ნების გათვალისწინებით გადაწყდეს, რასაც რესპონდენტი, პარტია "იმედის" თავმჯდომარე ირინა სარიშვილიც იზიარებს.

**ნინო რატიშვილი:** *"95% პროცენტი თითქმის ბათუმის მოსახლეობისა უარს აცხადებს მეჩეთის მშენებლობაზე. მიაჩნია, რომ ეს არ არის საჭირო. როგორ ფიქრობ, არის თუ არა ეს ტესტი ახალი ხელისუფლებისთვის და აი, ამ ყბადაღებული მეჩეთის მშენებლობას გადაწყვეტს ხელისუფლება, თუ მაინც გაუწევს მოსახლეობას?.".*

**ირინა სარიშვილი:** *"როცა ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა გეუბნება, რომ ეს მას არ უნდა და ეს არანაირად არ ნიშნავს ვინმეს რელიგიური უფლებების შეზღუდვას იმიტომ, რომ ბათუმში არის მეჩეთი და საჭიროება არ ასებობს. იქ, სადაც 95%-ს ეს არ უნდა ე.ი. 95% იქ მოსიარულე არ არის და ამ მოტივით არ უნდა, ხო თუ ამას ყურადღებას ხელისუფლება არ მიაქცევს, გამოდის, ეს დემოკრატიაც შერჩევითია."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11815

**ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი**

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე ავითარებს აზრს, რომ რელიგიური ექსტრემიზმის თემა არარეალურია და უფლებადამცველების მიერ არის პროვოცირებული, გრანტების მიღების მიზნით (რესპონდენტი, დამატებითი არგუმენტაციის გარეშე, ამ მოტივაციას ამჟამინდელი უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტში" საქმიანობას უკავშირებს, როდესაც ეს ორგანიზაცია რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმების გამო, მართლმადიდებელი მღვდელის, ბასილ მკალავიშვილის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდა).

**მამუკა გიორგაძე:** *"გიგა ბოკერია ძალით აცემინებდა თავს მკალავიშვილის ხალხს, რომ მერე გრანტები მიეღო და დაემტკიცებინა ვიღაც-ვიღაცებისთვის, რომ მე ვარ ის მებრძოლი, რომელიც საქართველოში იცავს ვიღაც-ვიღაცების უფლებებს და ასე შემდეგ... იეღოველების დაცვა იქამდე მიიყვანეს, რომ ის სახელმწიფოებიც კი, სადაც იეღოვეების სექტა აკრძალულია კანონით, თითს გვიქნევდნენ."*

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტის მხრიდან ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას აქვს ადგილი, გადაცემის წამყვანი ნინო რატიშვილი არ ცდილობს ფაქტების დაზუსტებას.
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11856



**ზაზა პაპუაშვილი:** *"...გამოდიხარ და სხვა კონფესიების უფლებებს ვითომ იცავ. შენსას აგინებ პირში, შენსას ლანძღავ, შენსას ანერწყვებ და ხევ და ვითომ სხვისი ლოცვა გაღელვებს. როგორ შეეშალა იმათ ლოცვაში ხელი და არიქა შეუწყოთ ხელი, თორე ულოცველად არ დარჩნენ ისინი? შენსას მიხედე, ესენი თავის თავს მიხედავენ".*

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

### რეზონანსი, 7 მაისი

გაზეთმა "რეზონანსმა" გამოაქვეყნა სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ინფორმაცია, რომელიც ბათუმში მომხდარ უბედურ შემთხვევას ეხება. აღნიშნულ ინფორმაციაში იდენტიფიცირებულია გარდაცვლილი პირის ეროვნება "სომეხი", რაც არარელევანტურია მომხდარი ფაქტის აღწერისას. ინციდენტი შეეხება შემთხვევას, როდესაც ბათუმში მეხუთე სართულიდან მამაკაცი გადმოვარდა.

> *"გარდაცვლილი სომეხი ეროვნებისაა და წლების განმავლობაში აღნიშნულ მისამართზე შვილთან ერთად ცხოვრობდა".*

ეთიკური ნორმები და ჟურნალისტთა პროფესიული სტანდარტი დაუშვებლად მიიჩნევს უბედური შემთხვევის, კრიმინალური ინციდენტის ან სხვა შემთხვევის გაშუქების დროს ადამიანის ეთნიკური ან რელიგიური წარმომავლობის იდენტიფიცირებას, თუ ამას პირდაპირი კავშირი არ აქვს მომხდარ ინციდენტთან, მაგალითად, თუ ქმედება რელიგიური მრწამსის ან სხვა რაიმე შეხედულების გამო ხდება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სააგენტოს ინფორმაციის გამოქვეყნებით, გაზეთმა "რეზონანსმა" სტანდარტის დარღვევაზე სარედაქციო პასუხისმგებლობა გაიზიარა.

### კავკასია, სპექტრი, 6 მაისი

თოქ-შოუ "სპექტრის" სტუმარი, ქართული ოცნების საპარლამენტო წარმომადგენელი გიორგი გაჩეჩილაძე წინა ხელისუფლების ქმედებებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკად აფასებს, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას მიმართავს და ადამიანებისა და ქვეყნების კატეგორიებად სეგრეგაციას ახდენს.

> **გიორგი გაჩეჩილაძე:** *"ეს ხელისუფლება არის გასასამართლებელი... პირდაპირ მიზანდასახულად გადამტერებული იყვნენ საქართველოზე და ქართველ ხალხზე, როგორმე ე.ი. ეს ხალხი აქედან ამოეძირკვათ, დაეჩაგრათ, გაესრისათ და ასე ვთქვათ, მონებად ექციათ... ან ციხეებში გაეშვათ, ანდა გარეთ გაეყარათ ეს ხალხი და ეს ჩაენაცვლებიათ რაღაც გარკვეული კატეგორიის ადამიანებით... ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო კანონში ცვლილებები და დაახლოებით 56 ქვეყნიდან ცალმხრივი უვიზო რეჟიმი გაუკეთეს ე.ი. უნდა ნახოთ რა ქვეყნებია, ბატონო დავით, აფრიკისა და აზიის ქვეყნებია ძირითადად. უვიზო შემოსვლის უფლება მისცეს საქართველოში და იმიტომ არის, გახვალთ გარეთ და თვითონ კარგად ხედავთ"...*

რესპონდენტის შეფასებებს გადაცემის წამყვანი დავით აქუბარდიაც იზიარებს და საკითხი საკუთრებასთან დაკავშირებული დაპირისპირების კონტექსტში გადაჰყავს (იგულისხმება საქართველოს რამდენიმე რეგიონში დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასა და კერძო მესაკუთრე უცხოელ ინვესტორებს შორის საძოვრებისთვის).

> **დავით აქუბარდია:** *"საძოვარზე ვეღარ გაჰყავთ საქონელი".*

აღნიშნულ თემას, თავის მხრივ, რესპონდენტი ავითარებს, რომელიც ქართველების ინდოელებით ჩანაცვლებას მიზანმიმართულ პოლიტიკად აფასებს.

> **გიორგი გაჩეჩილაძე:** *"საძოვარები წაართვეს სპეციალურად, რომ ის გლეხი იქიდან ამოვარდნილიყო და დაეტოვებინა სოფელი და მერე ჩახვიდოდი... მაგალითად, კახეთის რეგიონში და კახეთი კი ერქმეოდა, მაგრამ იქნებოდნენ ინდოელები უმეტესი ნაწილი."*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2030612

გაგრძელება გვ. 5

ბიულეტენი №5



**გიორგი გაჩეჩილაძე:** *"...დაახლოებით 56 ქვეყნიდან ცალმხრივი უვიზო რეჟიმი გაუკეთეს ე.ი. უნდა ნახოთ, რა ქვეყნებია, ბატონო დავით, აფრიკისა და აზიის ქვეყნებია ძირითადად... მერე ჩახვიდოდი მაგალითად, კახეთის რეგიონში და კახეთი კი ერქმეოდა, მაგრამ იქნებოდნენ ინდოელები უმეტესი ნაწილი."*

## გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

**რუსთავი 2, კურიერი, 10 მაისი**

თოქ-შოუ “პოზიციის” წამყვანმა ნინო შუბლაძემ კურიერის 9 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში, გადაცემის სტუმრების დაანონსებისას, მათი გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია მოახდინა, როცა ისინი სუსტი სქესის წარმომადგენლებად მოიხსენია. აღნიშნულ შემთხვევაში ჟურნალისტის მხრიდან სექსიზმის გამოვლინებასა და გარკვეული სტერეოტიპების ტირაჟირებასაც ჰქონდა ადგილი:

> ნინო შუბლაძე: *“და დღეს, ერთმანეთის პირისპირ, სუსტი სქესის წარმომადგენლები დასხდებიან და ჩვენი სტუმრები იქნებიან, უმრავლესობიდან ელისო ჩაფიძე, უმცირესობიდან ირმა ნადირაშვილი.”*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2035273




ნინო შუბლაძე: *“და დღეს, ერთმანეთის პირისპირ, სუსტი სქესის წარმომადგენლები დასხდებიან ჩვენი სტუმრები იქნებიან, უმრავლესობიდან ელისო ჩაფიძე, უმცირესობიდან ირმა ნადირაშვილი.”*

**რუსთავი 2, პოზიცია, 7 მაისი**

თოქ-შოუ პოზიციაში ფარული ჩანაწერების თემაზე მსჯელობისას, გადაცემის ერთ-ერთმა რესპონდენტმა, გაზეთ რეზონანსის რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა, მეორე რესპონდენტს, ჟურნალ “ტაბულას” რედაქტორს, თამარ ჩერგოლეიშვილს მისი მეუღლის, უშიშროების საბჭოს მდივნის ნაცვლად მოჰკითხა პასუხი.

> ლაშა ტუღუში: *“რა საიდან მოვიტანე, ქალბატონო თამარ, თქვენი მეუღლე არის უშიშროების საბჭოს მდივანი და მე მეკითხებით, თქვენ არ იცით რა ხდებოდა ამ სისტემაში?”*

საპასუხოდ თამარ ჩერგოლეიშვილმა ოპონენტს ქალთა უფლებების პატივისცემისკენ მოუწოდა:

> თამარ ჩერგოლეიშვილი: *“რა შუაშია ჩემი მეუღლე? მესაუბრეთ მე. მე არ გესაუბრებით თქვენს მეუღლეზე, მე არ მაინტერესებს თქვენი მეუღლე ვინ არის. მე აქ ვარ როგორც ჟურნალის რედაქტორი მოსული. მესაუბრეთ, როგორც ჟურნალის რედაქტორს. 21-ე საუკუნეა. ქალებს პატივი ეცით, თუ შეიძლება.”*
> http://www.myvideo.ge/?video_id=2033642

## ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ. 4

**ობიექტივი, „ღამის სტუდია“, 9 მაისი**

ღამის სტუდიის ეთერში, რომლის განხილვის თემა აბორტის კრიმინალიზაციის შესახებ პატრიარქის ინიციატივა იყო, მაყურებლის მხრიდან დემოგრაფიული პრობლემის კონტექსტში ქსეოფობიურ შეფასებებს ჰქონდა ადგილი და სახელმწიფოს მხრიდან მიგრაციის პოლიტიკის გაკონტროლების აუცილებლობა იყო წამოჭრილი. ჟურნალისტმა თამთა როგავამ რესპონდნეტს განსახილველ თემაზე ფოკუსირებისკენ მოუწოდა, თუმცა არ აღუნიშნავს შეფასებების დისკრიმინაციული ბუნება.

> მსმენელი: *“პირველ რიგში, სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს, რაც სწორედ ამ დემოგრაფიულ პრობლემას მოხსნის… მთავრობამ მკაცრად უნდა გააკონტროლოს საქართველოში შემოსული ამდენი უცხოტომელები, როგორ იღებენ მოქალაქეობას, როგორ იძენენ მიწებს, საქართველო სავსეა უცხოტომელებით”.*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11841

**ობიექტივი, „ღამის სტუდია“, 10 მაისი**

ღამის სტუდიის წამყვანი ნინო რატიშვილი ქართული ოცნების წარმომადგენელთან კობა დავითაშვილთან საუბარს ჩინური ქალაქის თემის და უცხოელთა საკუთრების თემების განვრცობით ცდილობს, თუმცა რესპონდენტი ამ საკითხს მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების კონტექსტში განიხილავს, რასაც ჟურნალისტის დისკრიმინაციული კომენტარი მოსდევს, რომ ქართველებისთვის მალე საქართველოში ადგილი არ დარჩება.

> ნინო რატიშვილი: *“ჩვენი ადგილი აღარ იქნება მალე.”*
> http://obieqtivi.net/tv1.php?id=11855

## ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროვება

გასულ კვირას სოციალურ ქსელებში უფლებადამცველ გიორგი ფარესიშვილის წინააღმდეგ უკანონოდ მოპოვებული, ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროვება, სადაც ჰომოსექსუალური სცენები იყო ასახული, სატელევიზიო მედიამ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფისა და თავად ფარესაშვილის მიერ მაღალი თანამდებობის პირების კორუფციულ გარიგებებში მხილების კუთხით გააშუქა. გამონაკლისი იყო მედია კავშირი "ობიექტივი" და გაზეთი "კვირის ქრონიკა", სადაც ამ თემასთან კავშირში ჰომოფობიური განცხადებები როგორც რესპონდენტის, ასევე ჟურნალისტთა მხრიდან გაკეთდა.

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი

ღამის სტუდიის წამყვანი ნინო რატიშვილი და პარტია "იმედის" თავმჯდომარე ირინა სარიშვილი მიუღებლად მიიჩნევენ ჟურნალისტ გიორგი ფარესიშვილის წინააღმდეგ ფარული ვიდეო ჩანაწერების გავრცელებას, თუმცა, ამავდროულად კადრებზე აღბეჭდილი ჰომოსექსუალური სცენებიდან გამომდინარე, ჰომოფობიურ შეფასებებს აკეთებენ.

**ირინა სარიშვილი, იმედი:** *"...მე არ მინდა, რომ აი, ამის აღრევა მოხდეს ერთმანეთში და არ არის გამორიცხული, ის ადამიანები, ვინც ამას აკეთებენ, კი არ ებრძვიან ჰომოსექსუალებს თუ ჰეტეროსექსუალებს, ასეთი რაღაცეების გაკეთებით პირიქით, მათ პოზიციებს აძლიერებენ... არსებობენ ადამიანები და მეც მათ შორის, ვისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია ეს ადამიანები. ეს იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ მე მივალ მათთან და მოვკლავ, მაგრამ ნუ არ არის რა ეს ჩემთვის გასაგები, მისაღები და ზნეობრივი"...*

**რატიშვილი ნინო, ჟურნალისტი:** *"...რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, მიუღებელია და მე არ მინდა მაგალითად, რომ ვინმე მყავდეს ასეთი ორიენტაციის ახლობელი, ნათესავი, მეგობარი"...*

რესპონდენტის მხრიდან ადგილი აქვს სპეკულაციას რელიგიურ თემებზე, რომ ეს ყველაფერი ვნების კვირას ხდება და ჰომოსექსუალთა იძულებით დაცვის ვალდებულებაზე, რაც ინტიმური კადრების გასაჯაროვების ფაქტით არის განპირობებული, რასაც, თავის მხრივ, წამყვანიც იზიარებს.

**ირინა სარიშვილი:** *"ამ ადამიანს ეს ნაბიჯი არ უნდა გადაედგა ვნების კვირაში, ყველაზე მძიმე დღეს და უნდა გადაედგა ჰეტერო და ჰომოსექსუალისტების თემის აი პიკამდე, რო არის მისული იმ დღეების წინ... ადამიანი, რომელიც ასეთ ნაბიჯს დგამს, არა მხოლოდ თავის პირად მტერს უხდის სამაგიეროს... არამედ ხელს უწყობს იძულებითი მექანიზმის შექმნას, რომ საზოგადოება გახდეს იძულებული, დაიცვას მაშინ, როცა არანაირად დასაცავები... და არც იყო სიტუაცია, რომ ესენი ვინმეს დაეცვა. დაიცვას იმ ორიენტაციის ხალხი, რომელსაც ნუ, სადამდე მიჰყავს მთელი მსოფლიო ამ პრობლემას ყველამ ძალიან კარგად იცის"...*

**ნინო რატიშვილი:** *"პირიქით აკეთებენ მათ საქმეს."*
http://obieqtivi.net/tv1.php?id=11815

### კვირის ქრონიკა, 13.05 – 19.05

ჟურნალისტი ხათუნა ელბაქიძე შეურაცხმყოფელი ტერმინით - "პედერასტებად" მოიხსენიებს სექსუალურ უმცირესობების წარმომადგენლებს და მათი პირადი ცხოვრების დაცვის უფლებასაც დისკრიმინაციულ კონტექსტში წარმოაჩენს.

გაგრძელება გვ. 10

# სექსუალური უმცირესობები

სექსუალური უმცირესობების თემა უკანონოდ მოპოვებული ფარული ვიდეო ჩანაწერების სოციალურ ქსელებში გამოქვეყნების გარდა, 17 მაისს დაგეგმილი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით იყო აქტუალური. თავად აქციის სამზადისის გაშუქება, იმედის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ნეგატიურ კონტექსტში იყო განზოგადებული, რაც დაგეგმილი აქციისადმი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების გაღვივებას უწყობდა ხელს. რაც შეეხება აქციის შეფასებებს თოქ-შოუებში, პოზიტიური და მნიშვნელოვანი გზავნილი იყო საზოგადოებისათვის საზოგადოებრივი არხის ეთერში, დავით პაიჭაძის გადაცემაში იუსტიციის მინისტრის მიერ გაკეთებული შეფასებები, ხოლო მკვეთრად ნეგატიური და ჰომოფობიური როგორც მედია-კავშირ ობიექტივის რესპონდენტების, ასევე წამყვანების განცხადებები.

## იმედი, ქრონიკა, 10 მაისი

ქრონიკის სიუჟეტი 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის სამზადისს შეეხება. მართალია, სიუჟეტში წარმოდეგენილია ყველა მხარის პოზიცია - აქციის ორგანიზატორთა, მოწინააღმდეგეთა, ოფიციალური პირის და საზოგადოების, თუმცა ჟურნალისტ ქეთი ბრაჭულის ფრაზა „*საზოგადოების დიდი ნაწილი ამ საკითხზე თანხმდება და თითქმის ყველა მათგანი ამბობს, რომ პარლამენტის შენობის წინ ჩვიდმეტი მაისის აღნიშვნა დაუშვებელია*“, მოვლენისადმი საზოგადოებაში უარყოფით დამოკიდებულებას აღვივებს. ჟურნალისტის მიერ ქუჩაში ჩატარებული გამოკითხვა, არც მეთოდოლოგიური და არც პროფესიული სტანდარტით არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მან განზოგადება საზოგადოების დიდი ნაწილის სახელით მოახდინოს.

ამასთანავე, გაუმართლებელია ჟურნალისტის მხრიდან ამ კონკრეტულ ვითარებაში, იმ ადამიანის უფლებადამცველად მოხსენიება, ვინც სხვათა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის მოთხოვნით გამოდის. მხედველობაშია საპირისპირო აქციის ორგანიზატორი გიორგი გაბედავა, რომელიც შესაძლო იყო სიუჟეტში უბრალოდ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლად ყოფილიყო მოხსენიებული.
http://www.myvideo.ge/?video_id=2034738

## მაესტრო, ახალი ამბები 9ზე, 10 მაისი

იმედისგან განსხვავებით, მაესტროს სიუჟეტში არ მომხდარა საზოგადოებაზე დაყრდნობით აქციის მიუღებლობის თემის განზოგადება. თუმცა, გიორგი გაბედავა მაესტროზეც უფლებადამცველად იყო მოხსენიებული. სიუჟეტი რესპონდენტების შერჩევის თვალსაზრისითაც გაცილებით დაბალანსებული იყო, ვიდრე იმედის შემთხვევაში.
http://www.myvideo.ge/?video_id=2034865

## საზოგადოებრივი მაუწყებელი, დიალოგი, 9 მაისი

მართალია, დავით პაიჭაძის გადაცემა, რომლის სტუმარი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი იყო, შრომის კოდექსს ეხებოდა, თუმცა თოქ-შოუს წამყვანი გადაცემის ბოლოს დაინტერესდა, თუ რამდენად შეძლებდა ახალი ხელისუფლება 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით ჩაებარებინა ის ტესტი, რომელიც გასულ წელს წინა ხელისუფლებამ ვერ ჩააბარა. იუსტიციის მინისტრის მიერ გადაცემაში გაკეთებული განცხადებები პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს.

თეა წულუკიანი: *“არ შეიძლება ცივილიზებული ადამიანები ერთმანეთს უჭვრიტინებდნენ, ვის ვისთან სძინავს. ეს არის საფუძველი ცივილიზებული საზოგადოების... ასეთი რაღაცები არსებობს, ეს ამ ადამიანების ძალით გამოგონილი*




ქეთი ბრაჭული: *„საზოგადოების დიდი ნაწილი ამ საკითხზე თანხმდება და თითქმის ყველა მათგანი ამბობს, რომ პარლამენტის შენობის წინ 17 მაისის აღნიშვნა დაუშვებელია“.*

## სექსუალური უმცირესობები

*არ არის. როდესაც ადამიანი იღვიძებს ასეთი განცდით და იმის გათვითცნობიერებით, რომ მე თურმე ვარ უმცირესობა, არ შეიძლება, რომ ამის გამო მას ვინმე თავს დაესხას, გალახოს, რადგან ეს არის ბარბაროსობა. ეს არ არის ჩვენი ქართული საზოგადოების სახე, მე ამის მწამს. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა იზიარებს იმას, რომ ძალადობა არ არის მისაღები.*

*რაც შეეხება შეკრებას, შეკრების თავისუფლების უფლება აქვს ყველას, თუკი ისინი არ არღვევენ კანონს… თუ ჩვენ, საქართველოში შევთანხმდებით იმ ორ ძირითად პრინციპზე, რაც ვთქვი, რომ არა - ძალადობას და ყველას აქვს დაცული პირადი ცხოვრების უფლება, მაშინ ყველამ უნდა იკისროს შესაბამისი ვალდებულებები."*

ამასთანავე იუსტიციის მინისტრი აქციის მონაწილეთა პასუხისმგებლობაზე საუბრობს და მოუწოდებს მათ, არ მოიქცნენ გამომწვევად. თუმცა, ჟურნალისტი არ აკონკრეტებინებს რესპონდენტს, თუ ვინ და რა შეიძლება ჩაითვალოს გამომწვევ ქმედებად და რამდენად არსებობს გამომწვევ ქმედებათა შეფასების სამართლებრივი კრიტერიუმი.

თეა წულუკიანი: *"მიუხედავად იმისა, რომ მჯერა პოლიცია შეასრულებს საკუთარ მოვალეობას, არ შეიძლება, რომ გამოსვლა იყოს გამომწვევი და გამაღიზიანებელი, რადგან საზოგადოების ერთი ნაწილი ისედაც გაღიზიანებულია. მე მათ მოვუწოდებდი, ზომიერებისკენ. მე არ მსმენია მათი მოთხოვნები - მოდით, ქალები დაგვაქორწინეთ ან კაცები დაგვაქორწინეთ. მე მსმენია მათი ერთადერთი მოთხოვნაა - ნუ მცემთ და ნუ მტყეპთ."*
http://www.myvideo.ge/?video_id=2034178

ობიექტივი, ღამის სტუდია, 7 მაისი

ღამის სტუდიის სტუმარი, პარტია "იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილი და გადაცემის წამყვანი ნინო რატიშვილი გიორგი ფარესიშვილის მაშანტაჟებელი ფარული ინტიმური კადრების გამოქვეყნების თემაზე საუბრისას, 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის საქართველოში გამართვის მიუღებლობაზეც საუბრობენ.

ირინა სარიშვილი: "*...რადიკალურად დაპირისპირებაა ამ ადამიანების მიერ აღლუმის ჩატარებასთან და მე ამ რადიკალების გვერდით ვარ. იმიტომ, რომ აბსოლუტურად წარმოუდგენელია ჩემთვის, ჩემს ქვეყანაში ამ ხალხმა აღლუმი ჩაატაროს და მეორეს მხრივ, რამდენიმე დღით ადრე დარღვეული ადამიანის უფლებები და ისეთი დილემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკური თვალსაზრისითაც, ყველა სხვა თემას რომ თავი დავანებოთ, ქვეყანა".*

გადაცემაში სატელეფონო ზარებით პირდაპირ ეთერში ჩართული მსმენელები ერთსქესიანთა ქორწინების თემას ევროპასთან, ხოლო 17 მაისის აქციას ამერიკის ელჩთან აკავშირებენ.

მსმენელი: "*...თითქმის ერთ კვირაზე მეტია გადმოსცემს საზღვარგარეთიდან რადიოები, რომ სულ რაღაც ევროპული ქვეყნებიდან... ამ ქვეყნებშია დაშვებული ერთსქესიან ქორწინება ჯერ-ჯერობით..."*

ნინო რატიშვილი: "*მე არ ვისურვებდი, რომ ჩემს სამშობლოში, ჩვენს ქვეყანაში იყოს ეგეთი კანონი მიღებული".*

ირინა სარიშვილი: "*მე ვისურვებდი, რომ ჩემი ქვეყანა დარჩეს ისეთ ქვეყნად, სადაც ეს იქნება სირცხვილი, მე ხომ მეტს არაფერს არ ვამბობ, სადაც ეს იქნება სირცხვილი და არ იქნება საზოგადოებისთვის მისაღები."*

მსმენელი: *..."და კიდევ დააკვირდით რა, ამერიკის ელჩმა მიიღო, საათნახევარი ესაუბრა ელჩი ამ ადმიანს [იგულისხმება გიორგი ფარესიშვილი] და ახლა 17 მაისს დაანონსებული აქვთ სექსუალურ უმცირესობებს, უკვე გეი პარადი მანდ, რუსთაველზე და ეს ყველაფერი ერთმანეთში ბმაშია. რა და ნუ მოვიტყუებთ რა თავს. აქ არ არის ის ხუხაშვილი და ღარიბაშვილი და რაღაც, შეიძლება ეგეც არის, მაგრამ ყველაფერი გამოიყენეს იმისთვის, რომ... ნოყიერი ნიადაგი შეუქმნან საქართველოში იმას, რაც პრინციპულად, კატეგორიულად მიუღებელია... საქართველოში არ მინდა, რომ ასეთი რაღაცეები ხდებოდეს... ხელს არ ჩამოვართმევ,*

## სექსუალური უმცირესობები

დასაწყისი გვ. 7-8

*არც ჩემს სახლში არ შემოუშვებ, ჩემს სამეგობროში ხო ვერ გაიჭაჭანებენ ვერასდროს, რა”...*

გადაცემის წამყვანი ნინო რატიშვილი იზიარებს მსმენელის მოსაზრებას და ჰომოსექსუალობას მანკიერებად, ანტიეროვნულ მოვლენად მიიჩნევს.

ნინო რატიშვილი: *“ბუნებრივი რეაქციაა. მანკიერებაა. მოდით, შევთანხმდეთ, რომ მე არ ვიცი საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში როგორ არის ან ამერიკაში, ჩვენთვის ეს მანკიერებაა... მრუშობა ჯანსაღი მანკიერებაა უკვე.”*

ჰომოფობიური განცხადებების გარდა, ეთერში მსმენელის მხრიდან სიძულვილის ენის გამოხატვას ჰქონდა ადგილი, რასაც თავის მხრივ წამყვანი რეაგირების გარეშე ტოვებს.

მსმენელი: *”ბიბლიაში ეს არის სოდომის ცოდვა და უფლებები კი არ უნდა დაიცვა მაგისი და ეფერო და რაღაცა... უნდა აიღო ეს ხალხი და გადაასახლო სადმე კუნძულზე. ანდა მეტსაც გეტყვით, უნდა ჩასვა საკანში, სამუდამოდ პატიმრობა მიუსაჯო და მისცე ხელში ბიბლია და წაიკითხონ ის.”*

http://obieqtivi.net/tv1.php?id=11815

### ობიექტივი, ღამის სტუდია, 10 მაისი

ღამის სტუდიის გადაცემა, რომელიც 17 მაისს დაგეგმილ აქციას ეძღვნება დისკრიმინაციულია სექსუალურ უმცირესობათა მიმართ, როგორც გადაცემის წამყვანის ნინო რატიშვილის, ასევე სახალხო პარტიის ლიდერის მამუკა გიორგაძის მხრიდან. წამყვანიც და რესპონდენტიც ავითარებენ აზრს, რომ სექსუალურ უმცირესობათა უფლებები საქართველოში იმ დონეზე არ ილახებება (“მინიმალური სტანდარტი დაცულია”-მამუკა გიორგაძე), რომ გარეთ მათი საჯაროდ გამოსვლის აუცილებლობა იყოს. თავისთავად ასეთი მიდგომა, თუ რისი უფლება აქვთ და არა აქვთ ქვეყნის მოქალაქეებს მათი სექსუალური ორიენტაციის თუ სხვა აფილაციის მიხედვით, არის დისკრიმინაციული, ისევე როგორც მინიმალური სტანდარტის რესპონდენტისეული განმარტება.

ნინო რატიშვილი: *“როგორ ფიქრობ, ამ ადამიანების უფლებები იმ დონეზე ილახება, რომ ასე საჯაროდ არის აუცილებელი გამოსვლა?!”*

მამუკა გიორგაძე: *“მინიმალური სტანდარტები ქვეყანაში დაცულია და არავინ ამა თუ იმ სქესის, ორიენტაციის გამო არავის არ დასდევს ქუჩაში, ჩაქუჩს არ ურტყამს და ელემენტარულად, დისკრიმინაცია არ ხდება... ამ დროს ხელოვნურად ხდება ვითარების დაძაბვა. როდესაც ელემენტარულად, ძალიან გაუგებარი მოთხოვნით ”დავიცვათ სექსუალური უმცირესობის უფლებები”, ამ ლოზუნგით გამოდიან ადამიანები, როდესაც არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ.. არის პირიქით. თუ შევხედავთ ჩვენს მასმედიას, ბომონდის ცხოვრებას, პირიქით, ჩვენ ვართ დისკრიმინებულები, გარკვეულწილად, ჩვენი უფლებები ირღვევა.”*

რესპონდენტი ჰომოსექსუალობას დაბალ ადამიანურ ინსტინქტებთან, ხოლო წამყვანი ზოგადად უმცირესობის ინტერესებს ბოროტმოქმედთა ინტერესებტან აიგივებს, რაც აბსოლუტურად არასწორი განზოგადებაა და კიდევ უფრო მეტად აღრმავებს ნეგატიურ დამოკიდებულებას განსხვავებული ჯგუფების მიმართ. ამასთანავე რესპონდენტი ამართლებს ძალადობას სექსუალურ უმცირესობათა მიმართ, რაც სიძულვილის გაღვივებას უწყობს ხელს:

მამუკა გიორგაძე: *“გაცილებით მარტივია ჩემთვის, ნორმალური ორიენტაციის ადამიანისთვის, რომ ერთი მუშტი გავიქნიო, ვიდრე დავჯდე და პრობლემების მოგვარებაზე ვიფიქრო. ამიტომ, როდესაც დაბალი ადამიანური ინსტინქტების გაპიარება ხდება ქვეყანაში, პირველი რეაქცია ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანისთის არის, რომ მას რაც შეუძლია, აღკვეთოს....“*

ნინო რატიშვილი: *„უმცირესობების ინტერესები, ბოროტმოქმედთა ინტერესები... მაშინ მე რა მაინტერესებს, ის ადამიანები, ვინც ციხეში სხედან, იმათ რატომ არ უნდა მივუტევოთ, თუ საკაშვილს უნდა მივუტევოთ?..“*

http://obieqtivi.net/tv1.php?id=11856

მედია-კავშირი ობიექტივი FM 105.0 www.obieqtivi.net

ნინო რატიშვილი: *„უმცირესობების ინტერესები, ბოროტმოქმედთა ინტერესები... მაშინ მე რა მაინტერესებს, ის ადამიანები, ვინც ციხეში სხედან, იმათ რატომ არ უნდა მივუტევოთ, თუ საკაშვილს უნდა მივუტევოთ?..“*

მედიის განვითარების ფონდი

ალ.ჭავჭავაძის №54,
მე-5 სად. მე-4 სართული.
ქ.თბილისი, საქართველო,
0179

ტელ/ფაქსი: (+99532) 2 22 00 16

ელ.ფოსტა: info@mdfgeorgia.ge
mdfgeo@gmail.com

WWW.MDFGEORGIA.GE

## მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

დასაწყისი გვ. 1

- გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც უბედური ინციდენტის მსხვერპლის ეთნიკური კუთვნილების იდენტიფიცირება მოხდა, რაც პროფესიული სტანდარტის დარღვევას წარმოადგენს (გაზეთი "რეზონანსი").

- ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია როგორც რესპონდენტთა (გიორგი გაჩეჩილაძე, ქართული ოცნება), ასევე მსმენელების მიერ პირდაპირ ეთერში (ობიექტივი) და წამყვანების (კავკასია, სპექტრი, ობიექტივი) მხრიდან წინა ხელისუფლების პოლიტიკის კრიტიკის კონტექსტში იყო გამოთქმული.

- გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას ერთ შემთხვევაში ჟურნალისტის (რუსთავი 2, პოზიცია), ხოლო მეორე შემთხვევაში რესპონდენტის მხრიდან ("რეზონანსის" რედაქტორი) ჰქონდა ადგილი.

- სექსუალური უმცირესობების თემატიკა ინტიმური ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეო ჩანაწერების გამოქვეყნებისა და 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქციის კონტექსტში იყო აქტუალური. რესპონდენტთა (ირინა სარიშვილი, პარტია "იმედია", მამუკა გიორგაძე, სახალხო პარტია) და მსმენელთა ("ობიექტივი") მხრიდან პირდაპირ ეთერში გაკეთებული ჰომოფობიური განცხადებების გარდა, ადგილი ჰქონდა ჟურნალისტთა მხრიდან დისკრიმინაციას ("ობიექტივი", გაზეთი "კვირის ქრონიკა"). ტელეკომპანია "იმედის" საინფორმაციო გამოშვება კი (ქრონიკა 8 საათზე) 17 მაისის აქციისადმი საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას აღვივებს და დაუსაბუთებელ განზოგადებას ახდენს, რაც არც მეთოდოლოგიურ, არც პროფესიულ სტანდარტს არ შეესაბამება.

### ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროვება

დასაწყისი გვ. 6

> ხათუნა ელზაქიძე: *"რა, აუცილებლად პედერასტი და ლესბოსელი უნდა იყო, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიები რომ მოითხოვო და "ნაციონალები" მხარში დაგიდგნენ?"*
> http://www.alia.ge/com/news/view/908#prettyPhoto

**რეზონანსი, 7 მაისი**

კვირის ქრონიკისგან განსხვავებით, გაზეთი რეზონანსი პაატა ქურდაძის ფეისბუკის სტატუსს აქვეყნებს, სადაც საკითხი საპირისპირო კონტექსტშია დასმული - იგი ინტერესდება, რატომ არის ჰომოსექსუალური სცენის გასაჯაროვება მეტად პრობლემატურად აღქმული, ვიდრე ჰეტეროსექსუალური კადრების, რომელიც გავრცელებულ ვიდეოში ასევე მოიპოვება.

> პაატა ქურდაძე: *"იმ ვიდეოში, როგორც ვხვდები, ჟურნალისტის გარდა კიდევ ერთი ქალი და კაცია. მათი ინტიმური ცხოვრების გასაჯაროვება რატომ არ აწუხებს არავის?"*
> http://resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=15460